ხელშეკრულება№ 44
სახელმწიფოშესყიდვისშესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000021)

ქ. თბილისი

04 აგვისტო 2014 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო** (შემდგომში -შემსყიდველი), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანდრია გოცირიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ალგორითმი"** მისი დირექტორის **გივი კორახაშვილის** სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის 20[2] მუხლის მე-4 პუნქტის, ,,სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 07თებერვლის N184 განკარგულებისა და ,,სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის N8 ბრძანებისა საფუძველზე,ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში –,,ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება"–საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიე რხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" –კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,საქონელი"–ხელშეკრულებისმე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულებისსაგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველისათვის საჭირო 11 (თერთმეტი) ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) შესყიდვა (CPV-30213300).

2.2. შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერილობა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულებისღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8301.59 (რვაათასსამასერთი ლარი და 59 თეთრი) ლარს.

3.2 ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) ფასია 754,69 (შვიდას ორმოცდათოთხმეტი ათასი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარი.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთავალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართის შესაბამისი საქონლის მიწოდება ხელშეკრულების დადების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის პიველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში - მოთხოვნიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კილომეტრი.

4.1.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული ტექნიკის შეკეთება ან შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შესყიდული პერსონალური კომპიუტერის ტრანსპორტირებას, ასევე მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში პერსონალური კომპიუტერის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4.1.3 განახორციელოსამხელშეკრულებითმასზედაკისრებულისხვავალდებულებები.

4.2 შემსყიდველივალდებულია:

4.2.1უზრუნველყოსხელშეკრულებისპირობების შესრულებისკონტროლი;

4.2.2განახორციელოსამხელშეკრულებითმასზედაკისრებულისხვავალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართში აღნიშნული მაჩვენებლების.

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულებისპირობების შესრულებისკონტროლი

5.1. შემსყიდველმა პროდუქციის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობის კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი გიორგი დათუკიშვილი;

6.1 ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

6.2 შემსყიდველი სმიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისმ წარმომადგენელმა (წარმომადგენლები, მოწვეულიექსპერტი) საქნლის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლისმიღება-ჩაბარებისწესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთაუფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი.

8.1.2ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლოდღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9 ხელშეკრულებისშესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებ იწააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებ მამხარემ შესაძლო უმოკლეს

ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულები პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულებისმე-11-ე მუხლისშესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.4 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავებისგადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

16 ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17 სხვაპირობები

17.1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო

ბიუროს დირექტორის მ/შ
ანდრია გოცირიძე

მიმწოდებელი:
შპს „ალგორითმი", ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კმ,
იურიდიული მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, კორ. 3, ბინა 27
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.#GE02BG0000000272346607, სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22, ს/კ 205043237

დირექტორი

გივი კორახაშვილი

იურიდიული სამმართველოს უფროსი
ნათია მელელაშვილი 04.08.15

მთავარი ბუღალტერი
მერი წულუკიძე

სახელმწიფო განყოფილების უფროსი
ნინო ქერაშვილი

...ომპიუტერი კომპლექტში	სავალდებულო მოთხოვნები	ტექნიკური მახასიათებლები	შემოთავაზებული საქონლის მოდელი და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები		რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთ.დღრ.
	მწარმოებელი ქვეყანა მონიტორი: (მწარმოებელი ,მოდელი)		ჩინეთი Lenovo LI2241				
	ტიპი	21,5" Widescreen უკანა LED განათებით უკეთესი	Display Size	21.5 inch/54.6 cm			
	ფორმატი	16:9	Aspect Ratio	16:9			
	რეაგირების დრო	მაქსიმუმ 5 მილიწამი	Response Time	5ms(Typical)			
	მატრიცის ტიპი	TN	Display type	TN			
	გარჩევადობა	1920x1080	Resolution	1920 x 1080			
	კონტრასტულობა	დინამიური 3 000 000:1 ან უკეთესი	Contrast Ratio	Contrast ratio (typical): 1000:1; SmartContrast: 10,000,000:1			
	სიკაშკაშე	250 ცდ/მ2	Brightness	250 cd/m²			
	უკანა განათების სამუშაო ციკლი	30 000 საათი	Becklight life time:	30 000 Hours			
	ხედვის კუთხე	170° ჰორიზონტალი ან მეტი 160° ვერტიკალი ან მეტი	Viewing Angle(H/V)	170°/160°			
	უნდა გააჩნდეს Plug and Play ტექნოლოგიის მხარდაჭერა		Plug and Play	YES			
	დახრის კუთხე	არაუმეტეს –5, არანაკლებ +15გრადუსი	Tilt angles of the monitor	Tilt: -5/20 degree			
	ვიდეო პორტები	DVI, VGA	Interface	Signal Input: VGA, DVI			
	მონიტორს უნდა მოყვებოდეს მესაზამისი კვების კაბელი და ვიდეო კაბელები	DVI და VGA	Box including	VGA And DVI Cables			
	სისტემური ბლოკი: (მწარმოებელი, მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა)		ჩინეთი Lenovo-IDEACENTRE Lenovo H535				
	პროცესორი :		AMD Quad-Core A8-Series APU A8-5500 with Radeon HD 7560D number of cores 4 GPU Core Speed * 760 MHz number of threads 4 Frequency 3200 MHz Turbo frequency 3700 MHz Virtualization Technology Support YES				
	ბირთვების რაოდენობა:	არანაკლებ 4(ოთხი)					
	GPU ტაქტური სიხშირე:	არანაკლებ 760MHz					
	ნაკადების რაოდენობა	არანაკლებ 4 (ოთხი)					
	L2 „ქეში"	არანაკლებ 4 მეგაბაიტი					
	ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 3.20 GHz (ხოლო Turbo რეჟიმში არანაკლებ 3,7GHz)					
	უნდა გააჩნდეს ვირტუალიზაციის მხარდაჭერა						
სისტემური ბლოკი Lenovo-IDEACENTRE H535,მონიტორი Lenovo LI2241 ,Keyboard,Mouse	დედაპლატა		Socket Type	FM2	11	754.69	8301.59
	ჩაშენებული ვიდეო პლატა	DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით	Graphics on board	DX11 Support			
	მყარი დისკის კონტროლერი	SATA, არანაკლებ 3 ინტერფეისისა	Num.of internal SATA header	3			
	ჩაშენებული ქსელის ადაპტერი	RJ-45 10/100/1000	Lan port	RJ-10/100/1000			
	გაფართოების სლოტები	DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 2 ცალი ან მეტი; PCI-E 16x - 1 ცალი ან მეტი; PCI-E 1x - 1 ცალი ან მეტი	DIMM slots Dual memory channel	2DIMM slots			
			Num of PCI-E*16 slot	1			
			Num.of PCI-E*1slot	1			
	პორტები	USB 2.0 ან უკეთესი: 6-ცალი ან მეტი, აქედან მინიმუმ 2 სისტემური ბლოკის წინა პანელზე და მინიმუმ 4 უკანა პანელზე	USB Ports	2 xUSB2.0(rear) 2xUSB3.0 (rear) 2xUSB2.0 (front)			
	გრაფიკული ინტერფეისები	ერთი DVI-D ინტერფეისი და ერთი VGA ინტერფეისი	Rear Graphics port	VGA,DVI-D Support			
	ოპერატიული მეხსიერება	მოცულობა: არანაკლებ 4096მბ; ტიპი:DDR3 1333MHz) ან უკეთესი	Base	4GB (DDR3 1333MHz),			
	მყარი დისკი	მოცულობა: არანაკლებ 500გბ; ბრუნვის სიჩქარე: არანაკლებ 7200rpm; ინტერფეისის ტიპი: SATA 6Gb/s, მეორე მყარი დისკის მონტაჟის შესაძლებლობით	Capacity	SATA 6Gb/s, 500GB, 7200rpm,			
	DVD/CD წამკითხველი (DVD/CDRom)	სავალდებულო არაა. სისტემურ ბლოკს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 DVD-წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი.	Optical Disk Drive	NO			
	კლავიატურა:(მწარმოებელი, მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა)	სტანდარტული, მინიმუმ 104 კლავიშიანი, USB	Keyboard	Lenovo Preferred Pro USB Keyboard ჩინეთი			
	მაუსი (მწარმოებელი, მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა)	ოპტიკურიUSB(scroll-ის უნქციით)	Mouse	Lenovo USB Optical Wheel Mouse ჩინეთი			
	ოპერაციული სისტემა	Free OS	Operating System	Free Dos			
							8301.59

შემოთავაზებულ ტექნიკაზე ვრცელდება 3 წლიანი საგარანტიო მომსახურება, და ზიანების შემთხვევაში ტექნიკა შეკეთდება ან შეიცვლება 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შპს "ალგორითმი"-ს დირექტორი
გივი კორახაშვილი